უეჭველად, ეშმაკი სასოწარკვეთილია იმით, რომ არაბეთის ნახევარკუნძულზე მლოცველები მას თაყვანს სცემდნენ. თუმცა, ის შეეცდება მათ შორის შუღლი ჩამოაგდოს და ურთიერთობა გააფუჭოს

ჯაბირისაგან გადმოცემულია (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა: «უეჭველად, ეშმაკი სასოწარკვეთილია იმით, რომ არაბეთის ნახევარკუნძულზე მლოცველები მას თაყვანს სცემდნენ. თუმცა, ის შეეცდება მათ შორის შუღლი ჩამოაგდოს და ურთიერთობა გააფუჭოს»
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყა, რომ იბლისმა დაკარგა იმედი, რომ მორწმუნე მლოცველები დაბრუნდებიან მის თაყვანისცემას და კერპებს თაყვანს სცემენ არაბეთის ნახევარკუნძულზე. თუმცა, ის მაინც აგრძელებს იმედს და მთელი თავისი ძალისხმევით ცდილობს, მათ შორის შუღლი გააჩაღოს – დავებით, მტრობით, ომებით, არეულობებითა და მსგავსი სხვა ცდუნებებით.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/8886